საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით განსაზღვრული

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის ცხრა თვის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის ცხრა თვეში შემოსულია სულ 43 წერილობითი მოთხოვნა, ყველა მათგანზე პასუხები გაცემულია ვადების დაცვით.

4 საჯარო მოთხოვნა კუთვნილებისამებრ, რეაგირებისათვის გადაეგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას(რომლის თაობაზეც, დროულად ეცნობა მოთხოვნის ავტორს);

დაკმაყოფილებულია 40 საჯარო მოთხოვნა.

3 საჯარო მოთხოვნაზე 1 მოქალაქეს და 2 ორანიზაციას ეთქვა მოტივირებული უარი.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს, ივანე ჟორჟოლიანს.

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევასა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება გასაჩივრებული არ არის, შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საკრებულოსათვის ხარჯების გადახდის ვალდებულება სასამართლოს მიერ დაკისრებული არ ყოფილა და სასამართლო ხარჯები ამ მიმართულებით არ გაწეულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი ივანე ჟორჟოლიანი

2016 წლის 30 სექტემბერი